დეცენტრალიზაციის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

2023

2023 წელი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

მოკლე შეჯამება

წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილია დეცენტრალიზაციის სტრატეგიის 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული 2023 წლის აქტივობების შესრულების შესახებ ინფორმაცია.

დეცენტრალიზაციის სტრატეგია მიზნად ისახავს უზრუნველყოს საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული პრინციპების რეალიზება და ადგილობრივი თვითმმართველობის თანმიმდევრული განვითარება, აქციოს დეცენტრალიზაცია უწყვეტ, მიზანმიმართულ პროცესად, უზრუნველყოს საჯარო საკითხების გადაწყვეტაში თვითმმართველი ერთეულის როლისა და მნიშვნელობის გაზრდა, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობა და გამჭვირვალე, ანგარიშვალდებული და კარგი მმართველობის პრინციპებზე დაფუძნებული ადგილობრივი თვითმმართველობის ჩამოყალიბება.

დეცენტრალიზაციის 2020-2025 წლების სტრატეგია

- ⇒ *სტრატეგიული მიზანი 1 - თვითმმართველი ერთეულის როლის გაზრდა საჯარო საქმეების მნიშვნელოვანი ნაწილის გადაწყვეტაში*
- ⇒ *სტრატეგიული მიზანი 2 - ადგილობრივი თვითმმართველობის უზრუნველყოფა შესაბამისი მატერიალური და ფინანსური რესურსით*
- ⇒ *სტრატეგიული მიზანი 3 - სანდო, ანგარიშვალდებული, გამჭვირვალე და შედეგზე ორიენტირებული ადგილობრივი თვითმმართველობის ჩამოყალიბება*

დეცენტრალიზაციის სტრატეგიის 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმა



მნიშვნელოვანი მიღწევები 2023

მიღებული იქნა საქართველოს მთავრობის დადგენილება „სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მიერ მუნიციპალიტეტისათვის დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად სათანადო მატერიალური და ფინანსური რესურსების ოდენობის გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“
შეტანილი იქნა ცვლილება „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ კანონში, რომლის თანახმად მუნიციპალიტეტებს მიეცათ დამატებითი სახის მოსაკრებლის შემოღების უფლება
შეტანილი იქნა ცვლილება „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ კანონში, რომლითაც ორ მოსაკრებელზე გაიზარდა მუნიციპალურ ბიუჯეტში გადასარიცხი მოსაკრებლის ოდენობა
მიღებული იქნა კანონი „წყლის რესურსების მართვის შესახებ“
მუნიციპალიტეტების უფლებამოსილების გაზრდისა და ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების დახვეწის მიზნით 2023 წელს ინიცირებულ იქნა და ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში შეტანილია შვიდი ცვლილება
2022-2023 წლებში მუნიციპალიტეტებს საკუთრებაში გადაეცათ 2537 ობიექტი
მუნიციპალიტეტების განვითარების დაგეგმვის უზრუნველსაყოფად დამტკიცებულია განვითარების დაგეგმვის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო, რომლის მიხედვით 2023 წელს მუნიციპალიტეტების მიერ მომზადდა განვითარების დაგეგმვის დოკუმენტები
2022-2023 წლებში სხვადასხვა მიმართულებით გადამზადდა მუნიციპალიტეტების 5715 საჯარო მოხელე

სამუშაო გეგმის აქტივობათა სტატუსი 2023 წლის ბოლოსთვის



სამუშაო გეგმის ინდიკატორთა სტატუსი 2023 წლის ბოლოსთვის



2023 წლის აქტივობებზე პასუხისმგებელი უწყებები

ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმისა და დეცენტრალიზაციის სამთავრობო კომისია

- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
- საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
- მუნიციპალიტეტები
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
- საჯარო სამსახურის ბიურო
- მთავრობის ადმინისტრაცია
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დეცენტრალიზაციის სტრატეგიის განხორციელების მხარდამჭერი განვითარების პარტნიორები

UNDP

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

giz Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Agency for Development and Cooperation SDC

With funding from
Austrian Development Cooperation

MINISTRY OF FOREIGN AFFAIRS OF DENMARK

სარჩევი

1. *შესავალი* 5

2. *დეცენტრალიზაციის სტრატეგიის განხორციელების პროცესის ზოგადი აღწერა* 6

3. *სტრატეგიული მიზანი 1 - ადგილობრივი თვითმმართველობის როლის გაზრდა საჯარო საქმეების მნიშვნელოვანი ნაწილის გადაწყვეტაში* 8

4. *სტრატეგიული მიზანი 2 - ადგილობრივი თვითმმართველობის უზრუნველყოფა შესაბამისი მატერიალური და ფინანსური რესურსებით* 15

5. *სტრატეგიული მიზანი 3 - სანდო, ანგარიშვალდებული, გამჭვირვალე და შედეგზე ორიენტირებული ადგილობრივი თვითმმართველობის ჩამოყალიბება* 21

6. *გამოწვევები და რისკები* 36

7. *მიღებული გამოცდილება* 37

8. *დეცენტრალიზაციის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასება* 38

9. *ინფორმაცია 2024 წელს დაგეგმილ საქმიანობაზე* 39

1. შესავალი

2019 წლის 31 დეკემბერს საქართველოს მთავრობამ N678 დადგენილებით დაამტკიცა დეცენტრალიზაციის 2020-2025 წლების სტრატეგია და დეცენტრალიზაციის სტრატეგიის განხორციელების 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმა. ხოლო 2022 წელს საქართველოს მთავრობის N324 დადგენილებით დამტკიცდა დეცენტრალიზაციის 2020-2025 წლების სტრატეგიის განხორციელების 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმა.

დეცენტრალიზაციის სტრატეგიის მიზანია, ადგილობრივი ხელისუფლების ისეთი სისტემის ჩამოყალიბება და განვითარება, რომელიც უზრუნველყოფს ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებითა და მოსახლეობის აქტიური თანამონაწილეობით, დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით, კანონის ფარგლებში, ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების ეფექტიან და ოპერატიულ გადაწყვეტას, მუნიციპალიტეტის პოტენციალის სრულად გამოყენებას, მდგრად ადგილობრივ ეკონომიკურ განვითარებას, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პრობლემების მოგვარებასა და ცხოვრების დონის განუხრელ ამაღლებას.

დეცენტრალიზაციის სტრატეგია მიზნად ისახავს საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული პრინციპების რეალიზებას და ადგილობრივი თვითმმართველობის თანმიმდევრული განვითარებას. მისი მიზანია: აქციოს დეცენტრალიზაცია თანმიმდევრულ, მდგრად, უწყვეტ და მიზანმიმართულ პროცესად, რომლის შედეგადაც გაიზრდება თვითმმართველი ერთეულის როლი და მნიშვნელობა საჯარო საკითხების გადაწყვეტაში; ხელი შეუწყოს თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობას, მუნიციპალური ორგანოების საქმიანობის გამჭვირვალეობას, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ანგარიშვალდებულებას და კარგი მმართველობის პრინციპებზე დაფუძნებული ადგილობრივი თვითმმართველობის ჩამოყალიბებას საქართველოში.

დეცენტრალიზაციის სტრატეგიის განხორციელების შედეგად, 2025 წლისთვის საქართველოს მუნიციპალიტეტებს უნდა ჰქონდეთ: ა) გაზრდილი უფლებამოსილებები, ეფექტიანი აღსრულების მექანიზმებით; ბ) გაზრდილი შემოსულობები; გ) გაზრდილი როლი ადგილობრივი ეკონომიკის წახალისებაში და დ) დამკვიდრებული კარგი მმართველობის პრინციპები ადგილობრივ თვითმმართველობაში. ასევე, საქართველოს მუნიციპალიტეტებში უნდა მოქმედებდეს სტატისტიკური ინფორმაციის შეკრებისა და ანალიზის, აგრეთვე განვითარების დაგეგმვის და მონიტორინგის სისტემა, რაც ხელს შეუწყობს შედეგზე ორიენტირებული მმართველობის დამკვიდრებას საქართველოში.

დეცენტრალიზაციის სტრატეგია და მისი სამოქმედო გეგმა შემუშავდა სამოქალაქო საზოგადოების, აკადემიური წრეების, საერთაშორისო პარტნიორების და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების აქტიური მონაწილეობით.

სტრატეგიის განხორციელების პროცესში ჩართული სახელმწიფო უწყებების საქმიანობას კოორდინაციას უწევს ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმისა და

დეცენტრალიზაციის სამთავრობო კომისია. სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების ანგარიშებს, შესაბამისი უწყებების ანგარიშების საფუძველზე, ამზადებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო. ეს ანგარიში განსახილველად წარედგინება ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმისა და დეცენტრალიზაციის სამთავრობო კომისიას და საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტს.

ზემოაღნიშნული ვალდებულების ფარგლებში საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო წარმოადგენს დეცენტრალიზაციის სტრატეგიის განხორციელების 2023 წლის ანგარიშს, რომელიც მომზადებულია საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელოს შესაბამისად.

წარმოდგენილი ანგარიში ეყრდნობა სტრატეგიის განხორციელების 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ მიზნებსა და ამოცანებს. თითოეული აქტივობის შემთხვევაში შეფასებულია მისი ინდიკატორის შესრულების სტატუსი. ასევე, აქტივობის სტატუსის აღწერას თან ერთვის ინფორმაცია მათი შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

2. დეცენტრალიზაციის სტრატეგიის განხორციელების პროცესის ზოგადი აღწერა

დეცენტრალიზაციის სტრატეგიის განხორციელება დაიწყო 2020 წლის იანვრიდან და მისი პირველი ეტაპი დასრულდა სტრატეგიის განხორციელების 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმის შესრულებით. 2022 წელს საქართველოს მთავრობის N324 დადგენილებით დამტკიცდა დეცენტრალიზაციის სტრატეგიის შემდეგი ეტაპის განხორციელების 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმა. ეს სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს პირველი ეტაპის განხორციელებით მიღებულ გამოცდილებებსა და შედეგებს, განსაზღვრავს 2022-2023 წლებში სტრატეგიით დადგენილ შესასრულებელ ამოცანებს და კონკრეტულ აქტივობებს. სამოქმედო გეგმით განსაზღვრულია აქტივობების განხორციელებაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებები და პარტნიორი ორგანიზაციები. დეცენტრალიზაციის სტრატეგიის 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი უწყებები არიან: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საჯარო სამსახურის ბიურო და საქართველოს მუნიციპალიტეტები, რომელთაც პარტნიორობას უწევენ შემდეგი ორგანიზაციები: საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია, საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაცია, მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო, საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტო.

სამოქმედო გეგმის განხორციელებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ განვითარების საერთაშორისო პარტნიორებს, კერძოდ: გაეროს განვითარების პროგრამას, ევროკავშირს,

ევროპის საბჭოს, მსოფლიო ბანკს, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებას, შვეიცარიის განვითარების სააგენტოს, ავსტრიის განვითარების სააგენტოს და დანიის მთავრობას.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობები დეტალიზებულია კონკრეტული ინდიკატორების მიხედვით, რომელთა შეფასების შედეგად დგინდება თუ რამდენად შესრულდა დეცენტრალიზაციის სტრატეგიის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობები.

2022-2023 წლების სამოქმედო გეგმა მოიცავს 3 სტრატეგიულ მიზანს, 8 ამოცანას, 25 აქტივობასა და 44 შესრულების ინდიკატორს. მათგან 2 აქტივობისა და 9 ინდიკატორის შესრულების ვადაა 2022 წელი, 6 აქტივობისა და 9 ინდიკატორის შესრულების ვადად დადგენილია 2023 წელი, ხოლო დანარჩენი აქტივობებისა და ინდიკატორების შესრულების ვადაა 2022-2023 წლები.

სტრატეგიული მიზნების მიხედვით, 2022-2023 წლის სამოქმედო გეგმით დასახულია:

სტრატეგიული მიზანი 1 – 2 ამოცანის და 4 აქტივობის განხორციელება და 8 ინდიკატორის მიღწევა.

სტრატეგიული მიზანი 2 – 2 ამოცანის და 7 აქტივობის განხორციელება და 8 ინდიკატორის მიღწევა.

სტრატეგიული მიზანი 3 – 4 ამოცანის და 14 აქტივობის განხორცილება და 28 ინდიკატორის მიღწევა.

დეცენტრალიზაციის 2020-2025 წლების სტრატეგიის განხორცილების პროცესის მონიტორინგის მიზნით საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელოს შესაბამისად განსაზღვრულია აქტივობათა და ინდიკატორთა შესრულების შემდეგი კრიტერიუმები:

აქტივობებთან მიმართებაში - ა) არ დაწყებულა (შესრულება 0%); ბ) მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა (1%-50%); გ) მიმდინარე - მეტწილად შესრულდა (51%-99%); დ) განხორციელდა (100%); ე) განხორციელდა დაგვიანებით (100%); ვ) გაუქმებულია (0%-99%); ზ) შეჩერებულია (0%-99%).

ინდიკატორებთან მიმართებაში - ა) მიღწეულია (დაგეგმილი სამიზნე მონაცემების 100 % სახეზეა), ბ) მეტწილად მიღწეულია (დაგეგმილი სამიზნე მონაცემების 51% -99% სახეზეა), გ) ნაწილობრივ მიღწეულია (დაგეგმილი სამიზნე მონაცემების 1%-50% სახეზეა) და დ) ვერ იქნა მიღწეული (არცერთი დაგეგმილი სამიზნე მონაცემია წარმოდგენილი 0%)

2023 წლის ბოლოსთვის განხორციელებულია 20 აქტივობა და მიღწეულია 32 ინდიკატორი, ხოლო 3 აქტივობა მეტწილად შესრულდა და 3 ინდიკატორი არის მეტწილად მიღწეული.

2023 წლის საანგარიშო პერიოდში:

სტრატეგიული მიზანი 1-ის ფარგლებში 2022-2023 წლებში დაიგეგმა 4 აქტივობა და 8 ინდიკატორის მიღწევა. 2023 წლის ბოლოსთვის განხორციელდა 4 აქტივობა და მიღწეულია 8 ინდიკატორი.

სტრატეგიული მიზანი 2-ის ფარგლებში 2022-2023 წლებში დაგეგმილია 7 აქტივობის განხორციელება და 8 ინდიკატორის მიღწევა. 2023 წლის ბოლოსთვის განხორციელდა 7 აქტივობა და მიღწეულია 8 ინდიკატორი.

სტრატეგიული მიზანი 3-ის ფარგლებში 2022-2023 წელს დაგეგმილია 14 აქტივობის განხორციელება და 28 ინდიკატორის მიღწევა. 2023 წლის ბოლოსთვის განხორციელდა 11 აქტივობა და მიღწეულია 25 ინდიკატორი. ხოლო, 3 აქტივობა არის მეტწილად შესრულებული და 3 ინდიკატორი მეტწილად მიღწეულია.

ამდენად, დეცენტრალიზაციის სტრატეგიის განხორციელების 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმა შესრულებულია 95 პროცენტით.

3. სტრატეგიული მიზანი 1 – თვითმმართველი ერთეულის როლის გაზრდა საჯარო საქმეების მნიშვნელოვანი ნაწილის გადაწყვეტაში

სტრატეგიული მიზნის მისაღწევად 2022-2023 წლებში სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული იქნა 2 ამოცანის 4 აქტივობისა და 8 ინდიკატორის შესრულება, რომელთა განხორციელების ვადად განისაზღვრა 2022-2023 წლები.

ამოცანა: 1.1 თვითმმართველი ერთეულების მიერ კანონით მინიჭებული უფლებამოსილების სრულყოფილი განხორციელების უზრუნველყოფა

აქტივობა: 1.1.1 მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების სისრულისა და ექსკლუზიურობის უზრუნველყოფა და უფლებამოსილებების ხელისშემშლელ ფაქტორთა აღმოფხვრა

შესრულების ინდიკატორი: უფლებამოსილებების ხელისშემშლელ ფაქტორთა გამოვლენის მიზნით ჩატარებული კვლევისა და საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების რევიზიიდან გამომდინარე მომზადებული და ინიცირებულია საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

პარტნიორი ორგანიზაცია: საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია;

თვითმმართველი ერთეულის კანონით დადგენილ არსებულ უფლებამოსილებათა სრულყოფილად განხორციელების ხელისშემშლელი ფაქტორების გამოვლენის მიზნით

მომზადდა, დაინიცირდა და მიღებულ იქნა რიგი ცვლილებებისა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში. ცვლილებების შედეგად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ის მუხლები რომლებიც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და სხვა მუნიციპალიტეტების შემთხვევაში, ერთსა და იმავე დარღვევებზე სანქციებს და დაჯარიმების წესს განსხვავებულად განსაზღვრავდნენ, ან მხოლოდ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის არეგულირებდნენ, გავრცელდება ასევე სხვა მუნიციპალიტეტებზე და დამკვიდრდება ერთიანი მიდგომა. განსხვავებული იქნება მხოლოდ სანქციის ნაწილი (გარე ვაჭრობა, მწვანე ნარგავები, სამშენებლო/სარემონტო სამუშაოებისას თვითნებური გადათხრა/დაზიანება).

ასევე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შეტანილი იქნა და 2023 წლის 1 აპრილიდან ამოქმედდა ცვლილება, რომელმაც გაითვალისწინა მუნიციპალიტეტის მიერ საკუთარი ტერიტორიის ფარგლებში, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ კონკრეტულ სამართალდარღვევებზე მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების გაზრდა (მის კომპეტენციას მიკუთვნებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი მუხლების სრულად ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების კომპეტენციას დაქვემდებარებით). მაშასადამე, უფლებამოსილ ორგანოებს შორის კომპეტენციები ახლებურად გადანაწილდა. საკანონმდებლო ცვლილებამდე, განსაზღვრული მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ფაქტის დადგომის შემთხვევაში მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია შემოიფარგლებოდა მხოლოდ დამრღვევი სუბიექტის მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენით და შემდგომი რეაგირების მიზნით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი თანდართულ მასალებთან ერთად იგზავნებოდა საქალაქო სასამართლოში შემდგომი რეაგირებისათვის (სხვაგვარად, რომ ვთქვათ: სამართალდარღვევის ოქმებს ადგენდა შესაბამისი მუნიციპალიტეტი, ხოლო ადმინისტრაციულ სახდელს უფარდებდა სასამართლო). მოცემული ცვლილებით კი, გათვალისწინებულ იქნა მუნიციპალიტეტის მიერ არა მხოლოდ სამართალდარღვევის ოქმის შედგენა, არამედ სამართალდამრღვევისთვის სახდელის დაკისრებაც. შესაბამისად, მას გაუჩნდა უფლებამოსილება, ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვისთვის დააკისროს პირს სახდელი, რის შედეგადაც მოხდება მყისიერი და ეფექტური რეაგირება სამართალდარღვევაზე. უფრო კონკრეტულად რომ ითქვას, ცვლილების შედეგად, მუნიციპალიტეტი არის უფლებამოსილი თავად განსაზღვროს სამართალდამრღვევი სუბიექტისათვის სახდელის გამოყენების საკითხი და სახდელის შეფარდებაზე უფლებამოსილი ორგანო, რაც ამ ცვლილებამდე სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენდა. შესაბამისად, ტექნიკური თვალსაზრისით, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების რიცხვიდან (რომელსაც ადგენს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 208-ე მუხლი), ამოღებულ იქნა და გადატანილ იქნა რიგი მუხლები, მუნიციპალიტეტების განსჯადობას

დაქვემდებარებული საქმეების მარეგულირებელ შესაბამის ნორმებში. ცვლილებამ მოიცვა ისეთი მუხლები, როგორიცაა: 77[1] (დღის საათებში ან ღამის საათებში საცხოვრებელ სახლში, კერძო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ან საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულების შენობაში აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმების გადამეტება), 77[2] (ღამის საათებში პიროტექნიკური ნაკეთობის გამოყენება), 146[1] (კონსტრუქციების ან/და სამშენებლო მასალების დაყრა), 148 (მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული ტერიტორიის კეთილმოწყობის წესების დარღვევა), 150 (მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული ტერიტორიის იერსახის დამახინჯება), 150[1] (მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული ტერიტორიის იერსახის თვითნებური შეცვლა), 152 (მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული ტერიტორიის იერსახის თვითნებური შეცვლა), 152[2] (საზოგადოებრივი ადგილებით სარგებლობის თვითნებური შეზღუდვა), 153[4] (გარე რეკლამის განთავსების სანებართვო პირობების დარღვევა და გარე რეკლამის განთავსება შესაბამისი ნებართვის გარეშე), 159 (რეკლამის დაკვეთის, წარმოებისა და გავრცელებისათვის და აბრის დაკვეთისა და განთავსებისათვის დადგენილი წესების დარღვევა), 159[1] (არასათანადო რეკლამის განთავსება (გავრცელება)).

ასევე, 2023 წელს ინიცირებული იქნა და 2023 წლის 5 მაისს მიღებული იქნა ცვლილება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, რომლის თანახმად, კოდექსს დაემატა ახალი 166[2]-ე მუხლი - „ვანდალიზმი“. ამ მუხლით, გათვალისწინებულია ადმინისტრაციული სახდელი იმ პირებისათვის, რომლის მიერაც ხდება საზოგადოებრივი სარგებლობისათვის გათვალისწინებული ობიექტების, მათ შორის უმთავრესად მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ობიექტების დაზიანება ან განადგურება. ამავე ცვლილებით მუნიციპალიტეტებს მიეცათ უფლება შეადგინონ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმები იმ ნაწილში, რომელიც გულისხმობს მშობლის ან ბავშვის სხვა კანონიერი წარმომადგენლის მიერ არასრულწლოვანის აღზრდისა და სწავლების ან მის მიმართ სხვა მოვალეობათა შეუსრულებლობისას, რაც გამოიხატება არასრულწლოვანის მიერ ვანდალიზმის ჩადენით.

საქონლის ადგილწარმოშობის შესახებ ცნობების გაცემასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტების მიერ დასმული პრობლემატური საკითხის გადაწყვეტის მიზნით ინიცირებულია და 2023 წლის 21 სექტემბერს მიღებული იქნა ახალი კანონი „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ“, რომლითაც დაიხვეწა ცნობების გაცემის და ამ სფეროში მუნიციპალიტეტების უფლებამოსილებისა და პასუხისმგებლობის საკითხი.

2023 წლის 19 ივნისს მიღებული იქნა საქართველოს მთავრობის N227 დადგენილება „ქარსაფარი ზოლის აღდგენის, გაშენებისა და მართვის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“, რომელიც ითვალისწინებს 2021 წელს მუნიციპალიტეტებისთვის ქარსაცავი (მინდორდაცვითი) ზოლების საკუთრებაში გადაცემისა და მათი მართვის შესახებ დამატებით უფლებამოსილების სრულყოფილად განსახორციელებლად სათანადო პირობების შექმნას.

შესრულების ინდიკატორი	სტატუსი
უფლებამოსილებების ხელისშემშლელ ფაქტორთა გამოვლენის მიზნით ჩატარებული კვლევისა და საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების რევიზიიდან გამომდინარე მომზადებული და ინიცირებულია საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები	მიღწეულია (100%)

შესაბამისად, 2023 წლის ბოლოსთვის ამ აქტივობის სტატუსია - განხორციელდა.

აქტივობა: 1.1.2 თვითმმართველი ერთეულის კანონით დადგენილი უფლებამოსილებების განხორციელების მხარდაჭერა

შესრულების ინდიკატორი:

1. უფლებამოსილებების განხორციელების მხარდაჭერის მიზნით მომზადებულია სახელმძღვანელოები, ინსტრუქციები და სხვა მეთოდური მასალები (სულ მცირე 2 უფლებამოსილებასთან მიმართებაში, მათ შორის ერთი დაკავშირებული ადგილობრივ ეკონომიკურ განვითარებასთან)

2. ჩატარებულია კვლევა მუნიციპალიტეტებისთვის გადაცემული უფლებამოსილებების განხორციელების ინსტიტუციურ შესაძლებლობებთან მიმართებაში

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

პარტნიორი ორგანიზაცია: საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია; საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაცია;

აღნიშნული აქტივობის ინდიკატორების ვადად განსაზღვრული იყო 2022-2023 წლები. ინდიკატორების ძირითადი ნაწილი შესრულდა 2022 წელს (მათ შორის სრულად აქტივობის მეორე ინდიკატორი), ხოლო 2023 წელს დამატებით გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროექტების - რეგიონული და ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა საქართველოში და დეცენტრალიზაციისა და კარგი მმართველობის ხელშეწყობა ადგილობრივ დონეზე - დახმარებით, აბაშის მუნიციპალიტეტის მაგალითზე მომზადდა ტიპიური ფორმა - სახელმძღვანელო მუნიციპალიტეტებისთვის „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის შესახებ“

შესრულების ინდიკატორი	სტატუსი
1. უფლებამოსილებების განხორციელების მხარდაჭერის მიზნით მომზადებულია სახელმძღვანელოები, ინსტრუქციები და სხვა მეთოდური მასალები (სულ მცირე 2 უფლებამოსილებასთან მიმართებაში, მათ შორის ერთი დაკავშირებული ადგილობრივ ეკონომიკურ განვითარებასთან)	მიღწეულია (100%)
2. ჩატარებულია კვლევა მუნიციპალიტეტებისთვის გადაცემული უფლებამოსილებების განხორციელების ინსტიტუციურ შესაძლებლობებთან მიმართებაში	მიღწეულია (100%)

შესაბამისად, 2023 წლის ბოლოსთვის ამ აქტივობის სტატუსია - განხორციელდა.

ამოცანა: 1.2 სუბსიდიარობის პრინციპზე დაყრდნობით ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებათა გაზრდა

აქტივობა: 1.2.1 სუბსიდიარობის პრინციპის გათვალისწინებით თვითმმართველი ერთეულისთვის სახელმწიფოს მიერ დამატებითი უფლებამოსილებების გადაცემა

შესრულების ინდიკატორი:

1. ჩატარებული კვლევების საფუძველზე განსაზღვრულია მუნიციპალიტეტებისთვის გადასაცემი დამატებითი უფლებამოსილებები (არანაკლებ სამი უფლებამოსილება) ადმინისტრაციულ, ქონების მართვის, განათლების, კულტურის, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების, გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების მართვის, ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დაცვის სფეროებში
2. ჩატარებულია კონსულტაციები მუნიციპალიტეტებთან და დაინტერესებულ მხარეებთან მუნიციპალიტეტებისთვის დამატებითი უფლებამოსილებების გადაცემის ვადებისა და ფორმების შესახებ
3. მუნიციპალიტეტებისთვის დამატებითი უფლებამოსილებების გადასაცემად მომზადებული და ინიცირებულია საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

პარტნიორი ორგანიზაცია: საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია;

საქართველოს პარლამენტის მიერ 2023 წლის 30 ნოემბერს მიღებულ იქნა საკანონმდებლო პაკეტი „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ და ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ. ამ კანონპროექტებით მუნიციპალიტეტის საკუთარ დამატებით უფლებამოსილებად განისაზღვრება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტოსადგურის განთავსების მიზანშეწონილობის თაობაზე საკითხის გადაწყვეტა და მუნიციპალიტეტის

ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ დასახლებაში ავტოსადგურის არ არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი ნორმატიული აქტით იმ დასახლებების ჩამონათვალის განსაზღვრა, სადაც არ არის სავალდებულო ავტოსადგურიდან რეისში გასვლა. კანონპროექტი პარლამენტში ინიცირებამდე კონსულტაციების მიზნით გაზიარებულ იქნა მუნიციპალიტეტებისთვის.

2023 წლის 30 ივნისს მიღებული იქნა კანონი „წყლის რესურსების მართვის შესახებ“, რომლის თანახმად მუნიციპალიტეტების უფლებამოსილებად განისაზღვრა ადგილობრივი მნიშვნელობის წყლის რესურსების მართვა.

2023 წლის 15 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა კანონპროექტი „ტურიზმის შესახებ“, რომელიც ითვალისწინებს ტურიზმის განვითარების მიმართულებით მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების გაზრდას. ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში თანმდევად შეტანილი ცვლილების შედეგად დამატებით მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებად განისაზღვრა ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა.

მდგომარეობა სამოქმედო გეგმის ინდიკატორებთან მიმართებით

შესრულების ინდიკატორი	სტატუსი
1. ჩატარებული კვლევების საფუძველზე განისაზღვროს მუნიციპალიტეტებისთვის გადასაცემი დამატებითი უფლებამოსილებები (არანაკლებ სამი უფლებამოსილება) ადმინისტრაციულ, ქონების მართვის, განათლების, კულტურის, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების, გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების მართვის, ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დაცვის სფეროებში	მიღწეულია (100%)
2. ჩატარდეს კონსულტაციები მუნიციპალიტეტებთან და დაინტერესებულ მხარეებთან მუნიციპალიტეტებისთვის დამატებითი უფლებამოსილებების გადაცემის ვადებისა და ფორმების შესახებ	მიღწეულია (100%)
3. შესაბამისი საკანონმდებლო ან/და კანონქვემდებარე აქტების მომზადება და ინიცირება	მიღწეულია (100%)

შესაბამისად, 2023 წლის ბოლოსთვის ამ აქტივობის სტატუსია - განხორციელდა.

აქტივობა: 1.2.2 მუნიციპალიტეტების დამატებითი უფლებამოსილების მატერიალურ-ფინანსური უზრუნველყოფა

შესრულების ინდიკატორი:

1. მომზადებულია დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის

აუცილებელი მატერიალური და ფინანსური რესურსების გაანგარიშების წესის პროექტი

2. განსაზღვრულია და სახელმწიფო ბიუჯეტის მიზნობრივი ტრანსფერით უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტებისთვის დამატებითი დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად შესაბამისი რესურსების გადაცემა (არანაკლებ ერთი უფლებამოსილებისა)

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

პარტნიორი ორგანიზაცია: მუნიციპალიტეტები; შესაბამისი სახელმწიფო უწყება;

2023 წლის 17 მაისს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული იქნა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ კანონპროექტი, რომლის თანახმად, საქართველოს/ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას დაევალა 2023 წლის 1 სექტემბრამდე დაამტკიცოს მუნიციპალიტეტისთვის დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სათანადო მატერიალური და ფინანსური რესურსების ოდენობის გაანგარიშების წესი. კანონის ამ მოთხოვნიდან გამომდინარე საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ მომზადდა დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური და ფინანსური რესურსების გაანგარიშების წესის პროექტი, რომელიც შესაბამის უწყებებთან შეთანხმების შემდეგ 2023 წლის 25 აგვისტოს დამტკიცებული იქნა საქართველოს მთავრობის N327 დადგენილებით.

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით შემუშავებულ იქნა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებისათვის დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად მუნიციპალიტეტებისათვის გადასაცემი მიზნობრივი ტრანსფერის განსაზღვრის ფორმულა. აღნიშნული ფორმულის მიხედვით გაიანგარიშება კონკრეტული მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურებისათვის საჭირო დასაქმებულთა შრომის ანაზღაურება, ადმინისტრაციული ხარჯი და ტრანსპორტის მომსახურების ხარჯები. აღნიშნული თანხა 2024 წლიდან გათვალისწინებულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ასიგნებებში, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტებისათვის შესაბამისი რესურსის გადაცემას.

მდგომარეობა სამოქმედო გეგმის ინდიკატორებთან მიმართებით

შესრულების ინდიკატორი	სტატუსი
1. მომზადებულია დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური და ფინანსური რესურსების გაანგარიშების წესის პროექტი	მიღწეულია (100%)

2. განსაზღვრულია და სახელმწიფო ბიუჯეტის მიზნობრივი ტრანსფერით უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტებისთვის დამატებითი დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად შესაბამისი რესურსების გადაცემა (არანაკლებ ერთი უფლებამოსილებისა)	მიღწეულია (100%)

შესაბამისად, 2023 წლის ბოლოსთვის ამ აქტივობის სტატუსია - განხორციელდა.

4. სტრატეგიული მიზანი 2 – ადგილობრივი თვითმმართველობის უზრუნველყოფა შესაბამისი მატერიალური და ფინანსური რესურსებით

სტრატეგიული მიზნის მისაღწევად 2022-2023 წლებში სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული იქნა 2 ამოცანის 6 აქტივობისა და 8 ინდიკატორის შესრულება, რომელთაგან 1 ინდიკატორის შესრულების ვადად განისაზღვრა 2022 წელი, 4 ინდიკატორის შესრულების ვადად 2023 წელი, ხოლო 3 ინდიკატორის შესრულების ვადად - 2022-2023 წლები.

ამოცანა: 2.1 ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთარი შემოსულობების თანმიმდევრული ზრდის ხელშეწყობა

აქტივობა 2.1.1. ადგილობრივი მოსაკრებლების მიმართულებით შესწავლილი პრაქტიკიდან გამომდინარე საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება

შესრულების ინდიკატორი: მომზადებული და ინიცირებულია შესაბამისი საკანონმდებლო აქტის პროექტი

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

პარტნიორი ორგანიზაცია: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია; საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაცია;

საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების პროექტი, რომლის თანახმად გაიზარდა მშენებლობის ნებართვისათვის ადგილობრივი მოსაკრებლის ოდენობა. კერძოდ, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილია, რომ სამშენებლო საქმიანობის განხორციელება დასაშვებია მხოლოდ „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით

გათვალისწინებული შესაბამისი ნებართვის საფუძველზე. შესაბამისად, აღნიშნული უფლების მოპოვებისათვის კანონმდებლობა ადგენს სანებართვო მოსაკრებელს. მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტის მშენებლობისა) ნებართვის მოსაკრებელი კი თავის მხრივ წარმოადგენს ადგილობრივ მოსაკრებელს. ამასთანავე, მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით მოსაკრებელი არის აუცილებელი გადასახდელი ბიუჯეტში, რომელსაც ფიზიკური და იურიდიული პირები და ამხანაგობები იხდიან სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ მათთვის კანონით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელების ან/და სარგებლობის უფლების მინიჭებისათვის, აგრეთვე სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ გარკვეული მომსახურების გაწევისათვის.

მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტის მშენებლობისა) ნებართვა გაიცემა მუნიციპალიტეტების მიერ. ცხადია ნებართვის გაცემა დაკავშირებულია შესაბამის ადმინისტრაციულ რესურსთან, როგორც ადამიანური ასევე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის თვალსაზრისით. ამასთან, რაც მეტია მოთხოვნა, რასაკვირველია მეტია რესურსის საჭიროებაც.

ცვლილებამდე მდგომარეობით, მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტის მშენებლობისა) ნებართვისათვის ახალ ასაშენებელი ობიექტის პროექტით გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) საანგარიშო ფართობის თითოეული კვადრატული მეტრისათვის არ უნდა აღმატებოდა 4 ლარს, ხოლო საკურორტო ზონაში სამრეწველო ობიექტის მშენებლობისათვის– 5 ლარს, რაც არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით საგრძნობლად დაბალი იყო.

შესაბამისად, ცვლილებამ გაითვალისწინა მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის მოსაკრებლის ოდენობის გაზრდა 4 ლარიდან 10 ლარამდე, ხოლო საკურორტო ზონაში სამრეწველო ობიექტის მშენებლობისათვის – 5 ლარიდან 11 ლარამდე. ამასთან, მოსაკრებლის ოდენობის გაზრდა არ შეეხო ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობებს, რა დროსაც მოსაკრებლის ოდენობა ისევ დარჩა არაუმეტეს 4 ლარი (ახალ ასაშენებელი ობიექტის პროექტით გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) საანგარიშო ფართობის თითოეული კვადრატული მეტრისათვის).

ამასთანავე, იმის გათვალისწინებით რომ მოსაკრებლის გადამხდელისათვის ეს ზრდა არ ყოფილიყო დაუგეგმავი ფინანსური ხარჯის ზრდა, მოსაკრებლის ოდენობის გაზრდა გათვალისწინებული იქნა ეტაპობრივად, კერძოდ: 2023 წლის 1 იანვრიდან 6 ლარამდე, 2024 წლის 1 იანვრიდან 8 ლარამდე და 2025 წლის 1 იანვრიდან 10 ლარამდე. რაც შეეხება საკურორტო ზონაში სამრეწველო ობიექტის მშენებლობისათვის 2023 წლის 1 იანვრიდან 7 ლარამდე, 2024 წლის 1 იანვრიდან 9 ლარამდე და 2025 წლის 1 იანვრიდან 11 ლარამდე.

საქართველოს პარლამენტში ინიცირებულ იქნა და 2023 წლის 9 თებერვალს მიღებული იქნა კანონი „სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“. ამ

კანონით იზრდება სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი, რომელიც სრულად ირიცხება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში. კანონი ძალაში შედის 2024 წლის 1 ივნისიდან.

2023 წლის 15 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული იქნა კანონი „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ. ამ ცვლილებით ადგილობრივ მოსაკრებლებს დაემატა მოსაკრებლის ახალი სახე - საკონტეინერო მოსაკრებელი. კანონის თანახმად, „საკონტეინერო მოსაკრებლის გადამხდელია საქონლის გადამზიდავი, რომლის საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არის საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ საზღვაო ნავსადგურში შემოტანილი/საქართველოს ტერიტორიაზე არსებული საზღვაო ნავსადგურიდან გასატანი საქონლით დატვირთული კონტეინერი.“ კანონი ძალაში შედის 2024 წლის 1 თებერვლიდან, რის შემდეგ საპორტო მუნიციპალიტეტებს ექმნებათ ადგილობრივ ბიუჯეტში დამატებითი შემოსავლის წყარო.

მდგომარეობა სამოქმედო გეგმის ინდიკატორებთან მიმართებით

შესრულების ინდიკატორი	სტატუსი
მომზადებული და ინიცირებულია შესაბამისი საკანონმდებლო აქტის პროექტი	მიღწეულია (100%)

შესაბამისად, 2023 წლის ბოლოსთვის ამ აქტივობის სტატუსია - განხორციელდა.

აქტივობა 2.1.2. ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის იდენტიფიცირებული სარგებლობის ლიცენზიის სახეების და შესაბამისი სარგებლობის ლიცენზიის მოსაკრებლების ნაწილის გადასაცემად საკანონმდებლო ცვლილების მომზადება

შესრულების ინდიკატორი: მომზადებული და ინიცირებულია შესაბამისი საკანონმდებლო აქტის პროექტი

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

პარტნიორი ორგანიზაცია: შესაბამისი სახელმწიფო უწყება;

საქართველოს პარლამენტში ინიცირებულ იქნა და 2023 წლის 30 ნოემბერს მიღებული იქნა კანონი „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებლებში ცვლილების შეტანის შესახებ“. შეტანილი ცვლილებით 3-ჯერ 0,2-დან 0,6 ლარამდე გაიზარდა 1 m^3 ქვიშა-ხრეშის მოპოვებისთვის მოსაკრებელი, ხოლო ამავე წლის 15 დეკემბერს მიღებული იქნა ცვლილება ამავე კანონში, რომლის თანახმად 2-ჯერ 0,14-დან 0,28 ლარამდე გაიზარდა მოსაკრებლის ოდენობა 1 ტონა საცემენტე ნედლეულის (კირქვა) მოპოვებისათვის. ორივე ეს მოსაკრებელი სრულად ირიცხება ადგილობრივ ბიუჯეტში

მდგომარეობა სამოქმედო გეგმის ინდიკატორებთან მიმართებით

შესრულების ინდიკატორი	სტატუსი

მომზადებული და ინიცირებულია შესაბამისი საკანონმდებლო აქტის პროექტი	მიღწეულია (100%)

შესაბამისად, 2023 წლის ბოლოსთვის ამ აქტივობის სტატუსია - განხორციელდა.

აქტივობა: 2.1.4. მუნიციპალიტეტის მიერ გრანტის აღებისა და გაცემის პროცედურების გამარტივება

შესრულების ინდიკატორი: მუნიციპალიტეტის მიერ გრანტის აღების/გაცემის პროცედურების გასამარტივებლად მომზადებულია რეკომენდაციები და სამართლებრივი აქტის პროექტები

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

პარტნიორი ორგანიზაცია: მუნიციპალიტეტები;

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ მომზადებულ იქნა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში ცვლილების შეტანის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს მუნიციპალიტეტების მიერ არსებული გრანტის აღების/გაცემის პროცედურების გამარტივებას. დღეისათვის მიმდინარეობს კონსულტაციები საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შემდგომში კანონპროექტის მიღების მიზნით.

მდგომარეობა სამოქმედო გეგმის ინდიკატორებთან მიმართებით

შესრულების ინდიკატორი	სტატუსი
მუნიციპალიტეტის მიერ გრანტის აღების/გაცემის პროცედურების გასამარტივებლად მომზადებულია რეკომენდაციები და სამართლებრივი აქტის პროექტები	მიღწეულია (100%)

შესაბამისად, 2023 წლის ბოლოსთვის ამ აქტივობის სტატუსია - განხორციელდა.

აქტივობა: 2.1.5. სახელმწიფოს მიერ მუნიციპალიტეტისთვის ქონების გადაცემის და რეგისტრაციის პროცედურების გამარტივება

შესრულების ინდიკატორი:

1. მომზადებული და ინიცირებულია საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების პროექტები

2. არანაკლებ 5 მუნიციპალიტეტს აქვს გაზრდილი შესაძლებლობა მუნიციპალური ქონების აღრიცხვა-ინვენტარიზაციისა და რეგისტრაციისთვის

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

პარტნიორი ორგანიზაცია: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების

სამინისტრო; საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაცია;

ქონების მართვის სააგენტოსთან თანამშრომლობით მომზადებულია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში ცვლილების პროექტი, რომელიც ინიცირებულია საქართველოს მთავრობაზე განსახილველად.

მუნიციპალური ქონების აღრიცხვა-ინვენტარიზაციისა და რეგისტრაციისთვის შესაძლებლობების გაზრდის მიმართულებით საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაციის მიერ მომზადდა მუნიციპალური აქტივების მართვის და აღრიცხვის ელექტრონული პროგრამა, რომელიც დაეხმარება მუნიციპალიტეტებს მუნიციპალური ქონების და სხვა აქტივების მართვისა და აღრიცხვა-ინვენტარიზაციის პროცესის მოსაწესრიგებლად. დღეისათვის ეს პროგრამა დანერგილია 32 მუნიციპალიტეტში, სადაც განხორციელდა მუნიციპალიტეტების ბალანსზე (მფლობელობაში) რიცხული ქონების აღწერა და აქტივების პასპორტიზაცია. პასპორტიზაცია გულისხმობს თითოეული აქტივის მოძიებას, დასურათებას, აუდიტის მიერ საბალანსო ღირებულების განსაზღვრას, GPS კოდის მიხედვით (უძრავი ქონების შემთხვევაში) პროგრამაში არსებულ ინტერაქტიულ რუქაზე დატანას, თითოეული აქტივის დანომვრას და ამ აქტივების ელექტრონულ პროგრამაში ატვირთვას.

ამავდროულად თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაციის მიერ დაინერგა აქტივების მართვის ელექტრონული პროგრამა (Eproperty.ge). მუნიციპალიტეტის თანამშრომლებს ჩაუტარდათ ელექტრონული პროგრამაში მუშაობის პრაქტიკული სწავლება.

ელექტრონული პროგრამა თავისთავად შესაძლებლობას იძლევა მოხდეს აქტივების ანალიზური აღრიცხვა, ცვეთის/ამორტიზაცია დარიცხვა, აქტივზე გაწეული ხარჯების დარიცხვა, აქტივების ერთმანეთთან დაკავშირება, აქტივზე პასუხისმგებელი პირის აღრიცხვა, აქტივის სარგებლობის უფლებით გაცემის შემთხვევაში (იჯარა, აღნაგობა, ქირავნობა და სხვა) გადახდების კონტროლი, ჯარიმის დარიცხვა და სხვა.

მდგომარეობა სამოქმედო გეგმის ინდიკატორებთან მიმართებით

შესრულების ინდიკატორი	სტატუსი
1. მომზადებულია და ინიცირებულია საკანონმდებლო აქტის პროექტი	მიღწეულია (100%)
2. არანაკლებ 5 მუნიციპალიტეტს აქვს გაზრდილი შესაძლებლობა მუნიციპალური ქონების აღრიცხვა-ინვენტარიზაციისა და რეგისტრაციისთვის	მიღწეულია (100%)

შესაბამისად, 2023 წლის ბოლოსთვის ამ აქტივობის სტატუსია - განხორციელდა.

აქტივობა: 2.1.6 ქონების გადაცემა

შესრულების ინდიკატორი: მუნიციპალიტეტებისთვის გადაცემულია არანაკლებ 2500

ობიექტი

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

პარტნიორი ორგანიზაცია: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; მუნიციპალიტეტები;

2022-2023 წლებში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ“ 2537 ერთეული უძრავი ქონება გადასცა მუნიციპალიტეტებს.

მდგომარეობა სამოქმედო გეგმის ინდიკატორებთან მიმართებით

შესრულების ინდიკატორი	სტატუსი
მუნიციპალიტეტებისთვის გადაცემულია არანაკლებ 2500 ობიექტი	მიღწეულია (100%)

შესაბამისად, 2023 წლის ბოლოსთვის ამ აქტივობის სტატუსია - განხორციელდა.

ამოცანა: 2.2. სახელმწიფო რესურსების განაწილების მექანიზმების გაუმჯობესება

აქტივობა 2.2.1. გათანაბრების პოლიტიკის განსაზღვრა და გაანგარიშების პრინციპებისა და მეთოდიკის შემუშავება

შესრულების ინდიკატორი: დღგ-ის განაწილების შედეგების ანალიზის შესაბამისად შემუშავებული და ინიცირებულია ცვლილებები მისი დახვეწის მიზნით

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

პარტნიორი ორგანიზაცია: მუნიციპალიტეტები;

საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ცვლილების პროექტი, რომლის თანახმად, გათანაბრებითი ტრანსფერის სისტემიდან დამატებული ღირებულების გადასახადის განაწილების სისტემაზე გადასვლის გარდამავალ პერიოდში დღგ-ს დადგენილ პროცენტულ მაჩვენებელზე მეტი რესურსი 2023 წელს მიიმართება პირველ ეტაპზე იმ მუნიციპალიტეტის შემოსავლებში, რომლის მიერ მისაღები დამატებული ღირებულების გადასახადი 5 მილიონ ლარზე ნაკლებია, იმ ოდენობით, რომელიც უზრუნველყოფს ამ მუნიციპალიტეტის დამატებული ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებლის 5 მილიონი ლარით განსაზღვრას ხოლო დარჩენილი რესურსი, მიიმართება იმ მუნიციპალიტეტის შემოსავლებში, რომლის მიერ მისაღები დამატებული ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი წინა წლის მაჩვენებელზე ნაკლებია.

მდგომარეობა სამოქმედო გეგმის ინდიკატორებთან მიმართებით

შესრულების ინდიკატორი	სტატუსი
დღგ-ის განაწილების შედეგების ანალიზის შესაბამისად შემუშავებული და ინიცირებულია ცვლილებები მისი დახვეწის მიზნით	მიღწეულია (100%)

შესაბამისად, 2023 წლის ბოლოსთვის ამ აქტივობის სტატუსია - განხორციელდა.

5. სტრატეგიული მიზანი 3 – სანდო, ანგარიშვალდებული, გამჭვირვალე და შედეგზე ორიენტირებული ადგილობრივი თვითმმართველობის ჩამოყალიბება

სტრატეგიული მიზნის მისაღწევად 2022-2023 წლებში სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული იქნა 4 ამოცანის 14 აქტივობისა და 28 ინდიკატორის შესრულება, რომელთაგან 8 ინდიკატორის შესრულების ვადად განისაზღვრა 2022 წელი, 5 ინდიკატორის შესრულების ვადად 2023 წელი, ხოლო 15 ინდიკატორის შესრულების ვადად - 2022-2023 წლები.

ამოცანა: 3.1 ადგილობრივ დონეზე მართვისა და ხარისხიანი მომსახურების მიწოდების ეფექტიანი და ინოვაციური სისტემების დანერგვა

აქტივობა: 3.1.2 ადგილობრივ დონეზე საჯარო ფინანსების მართვის სისტემის სრულყოფა

1. გაანალიზებულია მუნიციპალურ დონეზე ჩატარებული სახელმწიფო ხარჯების და ფინანსური ანგარიშვალდებულების შეფასების ანალიზი (Public Expenditure and Financial Accountability Assessment at sub-national level (PEFA)) 64 მუნიციპალიტეტში
2. დანერგილია მექანიზმები მუნიციპალურ დონეზე ჩატარებული სახელმწიფო ხარჯების და ფინანსური ანგარიშვალდებულების შეფასების ანალიზის (Public Expenditure and Financial Accountability Assessment at sub-national level (PEFA)) შედეგად გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორების მიზნით 64 მუნიციპალიტეტში

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

პარტნიორი ორგანიზაცია: მუნიციპალიტეტები; საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;

განხორციელებულია მუნიციპალურ დონეზე ჩატარებული სახელმწიფო ხარჯების და ფინანსური ანგარიშვალდებულების შეფასების ანალიზი (PEFA) 56 მუნიციპალიტეტში. შეფასების ანალიზის შედეგად გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და 62 მუნიციპალიტეტს შორის გაფორმდა მემორანდუმი. მათ შორის, მიმდინარე წელს გაფორმდა მემორანდუმი 23 მუნიციპალიტეტთან. გარდა ამისა, განმეორებით შეფასდა 9 მუნიციპალიტეტი, რომლებთანაც მემორანდუმის გაფორმება იგეგმება 2024 წელს. მემორანდუმით გათვალისწინებული

ღონისძიებების შესრულების მიზნით, განვითარების პარტნიორების მხარდაჭერით, ხორციელდება მუნიციპალიტეტების დახმარება. მათ შორის მიმდინარე წელს მომზადდა 19 მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ცნობარი (გზამკვლევი).

მდგომარეობა სამოქმედო გეგმის ინდიკატორებთან მიმართებით

შესრულების ინდიკატორი	სტატუსი
1. დანერგილია მექანიზმები მუნიციპალურ დონეზე ჩატარებული სახელმწიფო ხარჯების და ფინანსური ანგარიშვალდებულების შეფასების ანალიზის შედეგად გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორების მიზნით 64 მუნიციპალიტეტში	მიღწეულია (100%)
2. დანერგილია მექანიზმები მუნიციპალურ დონეზე ჩატარებული სახელმწიფო ხარჯების და ფინანსური ანგარიშვალდებულების შეფასების ანალიზის (Public Expenditure and Financial Accountability Assessment at sub-national level (PEFA)) შედეგად გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორების მიზნით 64 მუნიციპალიტეტში	მიღწეულია (100%)

შესაბამისად, 2023 წლის ბოლოსთვის ამ აქტივობის სტატუსია - განხორციელდა.

აქტივობა: 3.1.3 ადგილობრივ თვითმმართველობებში საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარების პროცედურების დახვეწა და ადამიანური რესურსების შესაძლებლობათა განვითარება

შესრულების ინდიკატორი:

1. დანერგილია თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარების სხვადასხვა მეთოდები

2. არანაკლებ 10 მუნიციპალიტეტში დანერგილია ტრენინგ(ებ)ის მუნიციპალიტეტების მიერ ერთობლივი შესყიდვის პრაქტიკა

3. მუნიციპალიტეტების საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით განხორციელებულია არანაკლებ 30 სასწავლო აქტივობა (გადამზადებულია არანაკლებ 3000 საჯარო მოხელე)

პასუხისმგებელი უწყება: საჯარო სამსახურის ბიურო; საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

პარტნიორი ორგანიზაცია: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; მუნიციპალიტეტები;

გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მთავრობის UK aid-ის მხარდაჭერით, საჯარო სამსახურის ბიურომ, საანგარიშო პერიოდში (2022) მოამზადა მენტორის სახელმძღვანელო. პრაქტიკული სახელმძღვანელო აღწერს მენტორული ურთიერთობის პროცესს, დაწყებიდან დასრულებამდე და წარმოგვიდგენს ეფექტიანი მენტორული ურთიერთობისთვის საჭირო ყველა ინსტრუმენტს. საჯარო სამსახურის ბიურო აქტიურ პოპულარიზაციას უწევს პროფესიული განვითარების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებას საჯარო სამსახურების მიერ და სწორედ ამ მიზნით, შესაძლოა გამოყენებულ იქნას აღნიშნული სახელმძღვანელო ორგანიზაციაში თანამშრომელთა პროფესიული განვითარების მენტორინგის სისტემის ჩამოყალიბებისათვის.

თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარების სხვადასხვა მეთოდის წახალისების მიზნით, სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურომ, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) „დეცენტრალიზაციისა და კარგი მმართველობის ხელშეწყობა ადგილობრივ დონეზე“ პროექტისა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) „კარგი მმართველობა ადგილობრივი განვითარებისთვის სამხრეთ კავკასიაში“ პროგრამის მხარდაჭერით, 2022-2023 წლებში, განახორციელა თემატური მენტორინგის პროექტი თვითმმართველობის ორგანოებში, რომელიც მიზნად ისახავდა ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი პირების გაძლიერებას შეფასებისა და პროფესიული განვითარების სისტემების დანერგვის პროცესში. აღნიშნული პროექტები განხორციელდა საქართველოს 9 რეგიონის მუნიციპალიტეტის ორგანოებში (საკრებულო, მერია), დაიფარა საქართველოს ყველა რეგიონი. გარდა ამისა, აღნიშნული პროექტის ფარგლებში შემუშავდება პროფესიული განვითარების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენების სახელმძღვანელო დოკუმენტები:

1. პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევის ინსტრუქცია

2. მუნიციპალიტეტებში დასაქმებული საჯარო მოხელეების პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მეთოდები

მესამე ინდიკატორი რომლის ვადად განსაზღვრული იყო 2022-2023 წლები, სრულად განხორციელდა 2022 წელს. კონკრეტულად კი, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროექტის - „დეცენტრალიზაციისა და კარგი მმართველობის ხელშეწყობა ადგილობრივ დონეზე“ - მხარდაჭერით იმერეთის, მცხეთა-მთიანეთის და ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტებში ჩატარდა ტრენინგები მუნიციპალიტეტების მიერ ერთობლივი შესყიდვის პრაქტიკის დანერგვასთან დაკავშირებით. ტრენინგების გავლის შემდეგ სამივე რეგიონის 22 მუნიციპალიტეტში განხორციელდა, შეთავაზებული პრაქტიკის მიხედვით, სასწავლო კომპონენტების ინტერმუნიციპალური გზით შესყიდვა.

2022-2023 წლების განმავლობაში მუნიციპალიტეტების საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით განხორციელებულია არანაკლებ 30 სასწავლო აქტივობა.

2023 წელს საჯარო სამსახურის ბიურომ გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით შემუშავებული პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევის ინსტრუქციის გამოყენებით, საქართველოს 11 მუნიციპალიტეტის მერიებისა და საკრებულოების ჩართულობით, ჩაატარა მეთოდოლოგიის ადაპტაცია და გამოსცადა საპილოტე რეჟიმში. აღნიშნულმა ეტაპმა, მუნიციპალიტეტების აქტიური ჩართულობით, წარმატებით ჩაიარა.

საჯარო სამსახურის ბიურო აქტიურად აკვირდება და აანალიზებს საჯარო დაწესებულებების მიერ შემუშავებულ პროფესიული განვითარების გეგმებს. 2023 წლისათვის დაგეგმილ და განხორციელებულ სასწავლო პროგრამებზე დაყრდნობით, მუნიციპალიტეტების მიერ მოხელეთა განვითარებისათვის ყველაზე ხშირად გამოყენებული იყო შემდეგი მეთოდები: ტრენინგი, ელექტრონული კურსი/დისტანციური სწავლება, ვორქშოფი, მასტერკლასი, სასწავლო კურსი, სასერთიფიკატო კურსი, სწავლა კეთებით, ფორუმი და შიდა ტრენინგი.

UNDP პროექტის ფარგლებში 2023 წელს ჩატარდა ტრენინგი მუნიციპალური განვითარების დაგეგმვის სახელმძღვანელოს მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით ტრენინგები ჩატარდა 63 მუნიციპალიტეტის თანამშრომლებისთვის. ტრენინგების ფარგლებში მონაწილეებს საშუალება მიეცათ გაცნობოდნენ მუნიციპალური განვითარების დაგეგმვის ჩარჩო დოკუმენტის არსებობის მნიშვნელობას, მოეხდინათ სხვადასხვა ტიპის პოლიტიკის დოკუმენტის იდენტიფიცირება და მათი იერარქიის განსაზღვრა და დეტალურად გაცნობოდნენ აღნიშნული სტრატეგიული დოკუმენტის შექმნის თითოეულ ეტაპს. ჯამში 11 ტრენინგის ფარგლებში გადამზადდა 180-მდე ადამიანი.

ასევე გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები მუნიციპალური განვითარების დაგეგმვის თაობაზე 63 მუნიციპალიტეტის საკრებულოში. შეხვედრების ფარგლებში საკრებულოს თანამშრომლებს მიეწოდათ ინფორმაცია დოკუმენტის მნიშვნელობისა და საკრებულოს როლის შესახებ მისი შემუშავების პროცესში.

თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაციის მიერ 2023 წელს სხვადასხვა მიმართულებით ჩატარდა 164 ტრენინგი, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო მუნიციპალიტეტების შესაბამისი სამსახურების სულ 2439 საჯარო მოხელემ.

2023 წელს გადამზადდა 2619 მოხელე. ჯამში 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში გადამზადებული საჯარო მოხელეების რაოდენობა - 5715.

მდგომარეობა სამოქმედო გეგმის ინდიკატორებთან მიმართებით

შესრულების ინდიკატორი	სტატუსი
1. დანერგილია თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარების სხვადასხვა მეთოდები	მიღწეულია (100%)
2. არანაკლებ 10 მუნიციპალიტეტში დანერგილია ტრენინგ(ებ)ის მუნიციპალიტეტების მიერ ერთობლივი შესყიდვის პრაქტიკა	მიღწეულია (100%)

3. მუნიციპალიტეტების საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით განხორციელებულია არანაკლებ 30 სასწავლო აქტივობა (გადამზადებულია არანაკლებ 3000 საჯარო მოხელე)	მიღწეულია (100%)

შესაბამისად, 2023 წლის ბოლოსთვის ამ აქტივობის სტატუსია - განხორციელდა.

აქტივობა: 3.1.4. მუნიციპალური მომსახურებების მიწოდების ერთიანი (მინიმალური) სტანდარტების დადგენა და მუნიციპალური სერვისების ეფექტიანად განხორციელების ხელშეწყობა

შესრულების ინდიკატორი:

1. მუნიციპალური მომსახურებების მიწოდების პრაქტიკის შესწავლის საფუძველზე მომზადებულია თვითმმართველი ერთეულის მიერ საჯარო მომსახურების განხორციელების მინიმალური სტანდარტი (არანაკლებ 2 საჯარო მომსახურებაზე)
2. დანერგილია მოქალაქეთა „ერთი ფანჯრის პრინციპით“ მომსახურება სულ მცირე 1 მუნიციპალიტეტში
3. მუნიციპალურ სერვისებში გამოვლენილია საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები და მათი გაზიარების მიზნით ჩატარებულია ეროვნული კონფერენცია

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

პარტნიორი ორგანიზაცია: ადგილობრივი თვითმმართველობების ეროვნული ასოციაცია მუნიციპალიტეტები;

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს კოორდინაციით და USAID-ის ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის მხარდაჭერით, საანგარიშო პერიოდში განხორციელდა მუნიციპალური კომპეტენციების ყოვლისმომცველი ანალიზი, რომელიც დაეფუძნა სიღრმისეულ სამაგიდე კვლევას, რაც, თავის მხრივ, მოიცავდა ადგილობრივი საკანონმდებლო ჩარჩოს და შესაბამისი დოკუმენტების მიმოხილვას, და ასევე თვისებრივ ნაწილს, რომელიც თემის ექსპერტებთან და შესაბამის რესპოდენტებთან ჩაღრმავებულ ინტერვიუებს მოიაზრებდა. კვლევის დოკუმენტში დეტალურად არის აღწერილი მუნიციპალური კომპეტენციების პირველადი შეფასების შედეგები, მათ შორის, ხარვეზების საფუძვლიანი ანალიზი. პარალელურად, საანგარიშო პერიოდში, მომზადდა კონცეფცია, რომელიც გვთავაზობს მუნიციპალური კომპეტენციის სტანდარტების შემუშავების მეთოდოლოგიურ მიდგომას. ამავდროულად, განხორციელდა შერჩეული ორი მუნიციპალური კომპეტენციის - მუნიციპალური ნარჩენების მართვისა და შინაურ და მიუსაფარ ცხოველთა მოვლის სფეროში არსებული პრაქტიკის, გამოწვევებისა და შესაძლებლობების დეტალური ანალიზი, თემატური ექსპერტების ჩართულობით. ანგარიშები მიმოიხილავს შესაბამის საკანონმდებლო ჩარჩოს, მუნიციპალურ პრაქტიკებს, გამოწვევებს და რეკომენდაციებს მინიმალური სტანდარტების დადგენასთან მიმართებით. ამჟამად, მომზადებულია შერჩეული მუნიციპალური კომპეტენციების მინიმალური სტანდარტების

პირველადი სამუშაო ვერსიები და გრძელდება მუშაობა საბოლოო პროექტების მომზადებისთვის, რომლებსაც დასრულებული სახე 2024 წლის პირველ კვარტალში ექნება.

მუნიციპალიტეტებში „ერთ ფანჯრის“ პრინციპით მოქალაქეთა მომსახურების დასანერგად გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით ლაგოდეხისა და ტყიბულის მუნიციპალიტეტებში დაიწყო მუშაობა შესაბამისი სივრცის შესაქმნელად. დღეისათვის ლაგოდეხში ეს პროგრამა დასრულებულია, რამაც მისცა მოქალაქეებს შესაძლებლობა „ერთი ფანჯრის“ პრინციპით მიიღონ ყველა სახის მუნიციპალური მომსახურება. რაც შეეხება ტყიბულს, პროგრამა არის მიმდინარე, რომლის დასრულება გათვალისწინებულია 2024 წლის პირველ კვარტალში.

2023 წლის ბოლოს საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის (NALAG) ორგანიზებით ჩატარდა მუნიციპალიტეტების საუკეთესო პრაქტიკების გამოვლენისა და დაჯილდოების ყოველწლიური კონფერენცია.

მდგომარეობა სამოქმედო გეგმის ინდიკატორებთან მიმართებით

შესრულების ინდიკატორი	სტატუსი
მუნიციპალური მომსახურებების მიწოდების პრაქტიკის შესწავლის საფუძველზე მომზადებულია თვითმმართველი ერთეულის მიერ საჯარო მომსახურების განხორციელების მინიმალური სტანდარტი (არანაკლებ 2 საჯარო მომსახურებაზე)	მეტწილად მიღწეულია (51-99%)
დანერგილია მოქალაქეთა „ერთი ფანჯრის პრინციპით“ მომსახურება სულ მცირე 1 მუნიციპალიტეტში	მიღწეულია (100%)
მუნიციპალურ სერვისებში გამოვლენილია საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები და მათი გაზიარების მიზნით ჩატარებულია ეროვნული კონფერენცია	მიღწეულია (100%)

შესაბამისად, 2023 წლის ბოლოსთვის ამ აქტივობის სტატუსია - მეტწილად შესრულდა.

აქტივობა 3.1.5. ინტერმუნიციპალური თანამშრომლობის განვითარება

შესრულების ინდიკატორი: შედგა სულ მცირე ორი ახალი ინტერმუნიციპალური თანამშრომლობა

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

პარტნიორი ორგანიზაცია: მუნიციპალიტეტები;

2023 წლის 20 ოქტომბერს ქ. ზუგდიდში ზუგდიდის, სენაკის, ფოთის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, ხობის, მესტიის, აბაშის და მარტვილის მუნიციპალიტეტების მიერ საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის მხარდაჭერით შედგა

დამფუძნებელი შეხვედრა, რომელზეც მუნიციპალიტეტებმა გააფორმეს და ხელი მოაწერეს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს სამეგრელო - ზემო სვანეთის ინტერმუნიციპალური პლატფორმის შექმნის შესახებ.

პლატფორმის მიზანია

- ხელი შეუწყოს სოციალური პროგრამების დაგეგმვის და განხორციელების კუთხით მუნიციპალიტეტების თანაბარ განვითარებას;
- ხელი შეუწყოს ჰორიზონტალურ თანამშრომლობასა და მუნიციპალიტეტებს შორის გამოცდილების და ინფორმაციის გაზიარებას;
- ხელი შეუწყოს მუნიციპალურ სოციალურ პროგრამებზე ხელმისაწვდომობის ზრდას, როგორც მსგავსი/ერთობლივი სერვისების დაგეგმვის, ასევე სერვისების მიწოდების სფეროში თანამშრომლობის გზით;
- ხელი შეუწყოს მუნიციპალური სოციალური პროგრამების შესაბამისობის გაზრდას ბავშვებისა და მათი ოჯახების საჭიროებებთან;
- ხელი შეუწყოს და წაახალისოს) სოციალური სერვისების ადგილობრივ მომწოდებელთა განვითარება, მათი დაინტერესება და ჩართულობა ადილობრივი სოციალური სერვისების მიწოდებაში;
- განავითაროს ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უნარ-ჩვევები თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გაზიარების და გადაცემის კუთხით.

პლატფორმის სამდივნოს ფუნქციას დროებით ასრულებს საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია. პლატფორმის შეხვედრისას განსახილველ საკითხთა ჩამონათვალი დგება მუნიციპალიტეტების მხრიდან ინიცირების საფუძველზე. 2023 წლის ოქტომბერ-დეკემბერში ინტერმუნიციპალური პლატფორმის ფარგლებში ჩატარებულია **სამი ფიზიკური და ორი ონლაინ შეხვედრა,** რომელსაც ჯამში ესწრებოდა 118 მონაწილე.

მდგომარეობა სამოქმედო გეგმის ინდიკატორებთან მიმართებით

შესრულების ინდიკატორი	სტატუსი
შედგა სულ მცირე ორი ახალი ინტერმუნიციპალური თანამშრომლობა	მეტწილად მიღწეულია (51-99%)

შესაბამისად, 2023 წლის ბოლოსთვის ამ აქტივობის სტატუსია - მეტწილად შესრულდა.

აქტივობა: 3.1.6 ინფორმირებული გადაწყვეტილებების მისაღებად მუნიციპალიტეტების მიხედვით სანდო სტატისტიკური მონაცემების შეგროვების მექანიზმების განვითარება

შესრულების ინდიკატორი:

1. იდენტიფიცირებული სტატისტიკური ინდიკატორების მეშვეობით, ხელმისაწვდომია არანაკლებ 10 მონაცემი მუნიციპალიტეტის დონეზე

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

პარტნიორი ორგანიზაცია: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; მუნიციპალიტეტები;

2022 წელს 27 ივნისს საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურსა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) საქართველოს წარმომადგენლობას შორის ხელი მოეწერა საგრანტო ხელშეკრულებას, რომლის მიზანია მუნიციპალურ დონეზე სტატისტიკური შესაძლებლობების განვითარება, სტატისტიკის წარმოების გაუმჯობესება და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდა. ამ საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში, 2022 წლის ბოლოს მომზადდა მუნიციპალური სტატისტიკის პორტალი, რომელშიც გაერთიანდა საქსტატში ხელმისაწვდომი 84 მაჩვენებელი. პორტალი იძლევა შესაძლებლობას შედარდეს ძირითადი მაჩვენებლები რეგიონების და მუნიციპალიტეტების დონეზე. 2023 წელს განხორციელდა ზემოაღნიშნული 84 ინდიკატორის განახლება და პორტალს დაემატა 20 ახალი ინდიკატორი.

მდგომარეობა სამოქმედო გეგმის ინდიკატორებთან მიმართებით

შესრულების ინდიკატორი	სტატუსი
იდენტიფიცირებული სტატისტიკური ინდიკატორების მეშვეობით, ხელმისაწვდომია არანაკლებ 10 მონაცემი მუნიციპალიტეტის დონეზე	მიღწეულია (100%)

შესაბამისად, 2023 წლის ბოლოსთვის ამ აქტივობის სტატუსია - განხორციელდა.

აქტივობა: 3.1.7 საჯარო-კერძო თანამშრომლობის და ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა

შესრულების ინდიკატორი:

საინვესტიციო პროფილი შექმნილია არანაკლებ 10 მუნიციპალიტეტისთვის

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის ხელშეწყობით, პროექტის „კერძო სექტორის ჩართულობის (PSE) ხელშეწყობა ადგილობრივ დონეზე“ ფარგლებში, შეიქმნა და განახლდა მუნიციპალიტეტის საინვესტიციო პროფილები. კერძოდ, პროგრამის პარტნიორ პირველ 12 მუნიციპალიტეტს შორის 5-ში დაიგეგმა ახალი პროფილების მომზადება, ხოლო დანარჩენ 7-ში განახლდა უკვე არსებული პროფილები.

საინვესტიციო პროფილის შექმნა და განახლება განხორციელდა არსებული მეთოდოლოგიის შევსებით პროექტის „კერძო სექტორის ჩართულობის (PSE) ხელშეწყობა ადგილობრივ დონეზე“ მიგნებებით, ასევე, განახლდა უკვე შემუშავებული პროფილებისთვის არსებული ინფორმაცია.

მდგომარეობა სამოქმედო გეგმის ინდიკატორებთან მიმართებით

შესრულების ინდიკატორი	სტატუსი
საინვესტიციო პროფილი შექმნილია არანაკლებ 10 მუნიციპალიტეტისთვის	მიღწეულია (100%)

შესაბამისად, 2023 წლის ბოლოსთვის ამ აქტივობის სტატუსია - განხორციელდა.

ამოცანა: 3.2 გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მაღალი სტანდარტის დანერგვა

აქტივობა: 3.2.1 ღია მმართველობის პროგრამის ხელშეწყობა საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში

შესრულების ინდიკატორი: ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მიერ ხორციელდება ღია მმართველობის პროგრამით გათვალისწინებული აქტივობები და ხდება შესაბამისი ანგარიშგება სამოქალაქო სექტორსა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით (არანაკლებ 15 მუნიციპალიტეტში)

პასუხისმგებელი უწყება: მუნიციპალიტეტები

პარტნიორი ორგანიზაცია: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;

2023 წელს დამატებით 5 მუნიციპალიტეტი ჩაერთო ღია მმართველობის ეროვნულ სამოქმედო გეგმაში. ამ მიზნით აღნიშნულ და დამატებით 5 მუნიციპალიტეტში შემუშავდა და განახლდა გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგიები.

დამატებით, ღია მმართველობა პარტნიორობის ადგილობრივ პროგრამაში (OGP Local) ჩართულია 6 მუნიციპალიტეტი.

მდგომარეობა სამოქმედო გეგმის ინდიკატორებთან მიმართებით

შესრულების ინდიკატორი	სტატუსი
ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მიერ ხორციელდება ღია მმართველობის პროგრამით გათვალისწინებული აქტივობები და ხდება შესაბამისი ანგარიშგება სამოქალაქო სექტორსა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით (არანაკლებ 15 მუნიციპალიტეტში)	მიღწეულია (100%)

შესაბამისად, 2023 წლის ბოლოსთვის ამ აქტივობის სტატუსია - განხორციელდა.

აქტივობა 3.2.2. გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მექანიზმების დანერგვის ხელშეწყობა

შესრულების ინდიკატორი: არანაკლებ 10 მუნიციპალიტეტში დაინერგა საკრებულოს

სხდომების ტრანსლირება

პასუხისმგებელი უწყება: მუნიციპალიტეტები

პარტნიორი ორგანიზაცია: საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია;

2023 წლისთვის 11 მუნიციპალიტეტში (თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, ფოთი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ბაღდათი, ვანი, თელავი, მარტვილი და ზუგდიდი), ხორციელდება საკრებულოს სხდომების ტრანსლირება. 2024 წლისთვის იგეგმება დამატებით მუნიციპალიტეტებში სხდომების ტრანსლირების დანერგვა.

მდგომარეობა სამოქმედო გეგმის ინდიკატორებთან მიმართებით

შესრულების ინდიკატორი	სტატუსი
არანაკლებ 10 მუნიციპალიტეტში დაინერგა საკრებულოს სხდომების ტრანსლირება	მიღწეულია (100%)

შესაბამისად, 2023 წლის ბოლოსთვის ამ აქტივობის სტატუსია - განხორციელდა.

ამოცანა: 3.3 ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გადაწყვეტილებების მიღებისა და განხორციელების პროცესში მაღალი ხარისხის ჩართულობის ხელშეწყობა

აქტივობა 3.3.1. გადაწყვეტილების მიღებისა და განხორციელების პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად საკანონმდებლო ბაზისა და მექანიზმების სრულყოფა

შესრულების ინდიკატორი: მომზადებულია წინადადებები მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმების დახვეწის მიზნით

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

პარტნიორი ორგანიზაცია: საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია; საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაცია;

ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში სამოქალაქო ჩართულობის გაძლიერების მიმართულებით ევროპის საბჭოს პროექტის „მონაწილეობითი დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების გაძლიერება ადგილობრივ დონეზე საქართველოში“ ფარგლებში 15 სამიზნე მუნიციპალიტეტში (თბილისი, მარნეული, ახმეტა, ამბროლაური, ბოლნისი, ბორჯომი, გორი, ზესტაფონი, თელავი, თეთრიწყარო, ონი, ოზურგეთი, რუსთავი, ჩოხატაური და წყალტუბო) დაიხვეწა სამოქალაქო ჩართულობის მექანიზმები, გაძლიერდა ადგილობრივი უწყებების წარმომადგენლებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შესაძლებლობები და უნარები და განხორციელდა სამოქალაქო ჩართულობის კამპანია

„შეცვალე სცენარი“, რომელიც მიზნად ისახავდა მონაწილეობის მნიშვნელობის პოპულარიზაციას მოსახლეობაში და მონაწილეობის არსებული მექანიზმების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას მოსახლეობისთვის.

სამოქალაქო ჩართულობის არსებული პრაქტიკების გაუმჯობესებისა და მოქალაქეების, ასევე სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ჩართულობის გაძლიერების მიზნით, განხორციელდა ევროპის საბჭოს სამოქალაქო ჩართულობის ინოვაციური მეთოდოლოგიების გამოყენება მუნიციპალიტეტების მიერ სხვადასხვა სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავებისთვის. ამასთან, სამიზნე მუნიციპალიტეტებში ჩატარდა არსებული სიტუაციის შეფასება, გამოიკვეთა საჭიროებები და შემუშავდა რეკომენდაციები სამოქალაქო ჩართულობის გაძლიერების კუთხით.

ოზურგეთის, ახმეტისა და თელავის მუნიციპალიტეტებში განხორციელდა საჯარო კონსულტაციები „CivicLab“-ის გამოყენებით, ღია მმართველობა პარტნიორობის ადგილობრივი სამოქმედო გეგმის, საშუალოვადიანი განვითარების გეგმისა და ეკონომიკური განვითარების სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით. ოზურგეთის ღია მმართველობის სამოქმედო გეგმაში გაიწერა წინადადებები სამოქალაქო ჩართულობის გაძლიერების მიმართულებით, რაც, მათ შორის, მოიცავს ევროპის საბჭოს მეთოდოლოგიების ინსტიტუციონალიზაციას. საჯარო კონსულტაციების განხორციელებამ მუნიციპალიტეტებს მისცა საშუალება საჭიროებებისა და პრიორიტეტების განსაზღვრის პროცესში ჩაერთოთ მოქალაქეები სხვადასხვა სექტორიდან.

აღსანიშნავია, რომ სათათბირო დემოკრატიის გაძლიერებისთვის რუსთავსა და ოზურგეთში საქართველოში პირველად ჩატარდა „მოქალაქეთა ასამბლეა“, რომლის ფარგლებშიც ექსპერტულ ცოდნაზე დაყრდნობითა და ადგილობრივი კონტექსტის გათვალისწინებით, მოქალაქეებმა იმსჯელეს და შეიმუშავეს რეკომენდაციები და წინადადებები რუსთავის ჭალის ტყის სტრატეგიის შემუშავებისთვის (რუსთავი) და პარკინგის სისტემის გაუმჯობესებისთვის (ოზურგეთი). გარდა ამისა, გორის მუნიციპალიტეტმა საშუალოვადიანი განვითარების გეგმის მომზადებისთვის, ევროპის საბჭოს მეთოდოლოგია „გადაწყვეტილების მიღების პროცესში სამოქალაქო ჩართულობის მექანიზმი“ გამოიყენა, რომლის მეშვეობითაც განხორციელდა ჩართულობის დონის შეფასება თემში, დაინტერესებული მხარეების იდენტიფიკაცია და შეფასება და შემუშავდა მონაწილეობის სტრატეგია, სადაც განისაზღვრა რეკომენდაციები დაინტერესებული მხარეების სხვადასხვა ჯგუფის (მათი ინტერესისა და რელევანტურობის მიხედვით) საშუალოვადიანი განვითარების გეგმის შემუშავების პროცესში ჩართვის სხვადასხვა მექანიზმთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია, რომ ორ მუნიციპალიტეტში, თბილისსა და ზესტაფონში დაიწყო სასკოლო მონაწილეობითი ბიუჯეტირების პილოტირება. ამისათვის, განხორციელდა ექსპერტების ბანაკი, სადაც საერთაშორისო პრაქტიკისა და ქართული კონტექსტის გათვალისწინებით შემუშავდა რეკომენდაციები სასკოლო მონაწილეობითი ბიუჯეტირების ქართულ მოდელთან დაკავშირებით, რომელსაც ეფუძნება პილოტირების პროცესი.

ზემოაღნიშნული საპილოტე პროცესებით გამოიკვეთა და განისაზღვრა სამოქალაქო ჩართულობის გაძლიერების მიმართულებით ინსტიტუციური მექანიზმების დახვეწისა და

აღნიშნული მეთოდოლოგიების მდგრადი გამოყენების უზრუნველყოფის დამატებითი საჭიროებები და რეკომენდაციები. აღსანიშნავია, რომ ევროპის საბჭომ შეიმუშავა პრაქტიკული სახელმძღვანელო მუნიციპალიტეტებისთვის, სადაც განისაზღვრა რეკომენდაციები სამოქალაქო ჩართულობის სხვადასხვა ეტაპზე შესაბამისი მეთოდოლოგიისა და მექანიზმის გამოყენების შესახებ. აღნიშნული სახელმძღვანელო ითარგმნება ქართულად და იქნება ხელმისაწვდომი მუნიციპალიტეტებისთვის.

მდგომარეობა სამოქმედო გეგმის ინდიკატორებთან მიმართებით

შესრულების ინდიკატორი	სტატუსი
მომზადებულია წინადადებები მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმების დახვეწის მიზნით	მიღწეულია (100%)

შესაბამისად, 2023 წლის ბოლოსთვის ამ აქტივობის სტატუსია - განხორციელდა.

აქტივობა: 3.3.2. გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა ადგილობრივ დონზე

შესრულების ინდიკატორი:

1. გენდერული საჭიროებების კვლევის საფუძველზე მომზადებულია მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები

2. ჩატარებულია კონფერენცია გენდერული საკითხებზე

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

პარტნიორი ორგანიზაცია: საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია;

გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით მუნიციპალიტეტების მიერ მომზადდა და დამტკიცდა მუნიციპალური გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის სტრატეგიების განხორციელების 2024 წლის სამოქმედო გეგმები.

2023 წელს გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს მხარდაჭერით და საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის ორგანიზებით გაიმართა გენდერულ საკითხებზე კონფერენცია - „გენდერული თანასწორობის დღის წესრიგი ადგილობრივ დონეზე: ძირითადი გამოწვევები და სამოქმედო ნაბიჯები“, მუნიციპალიტეტების წარმომადგენლების მონაწილეობით.

მდგომარეობა სამოქმედო გეგმის ინდიკატორებთან მიმართებით

შესრულების ინდიკატორი	სტატუსი
გენდერული საჭიროებების კვლევის საფუძველზე მომზადებულია მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები	მიღწეულია (100%)

ჩატარებულია კონფერენცია გენდერულ საკითხებზე	მიღწეულია (100%)

შესაბამისად, 2023 წლის ბოლოსთვის ამ აქტივობის სტატუსია - განხორციელდა.

აქტივობა: 3.3.3 ახალგაზრდების ჩართულობის ზრდა ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში

შესრულების ინდიკატორი: გაძლიერებულია ახალგაზრდობის შესაძლებლობები: სამოქალაქო აქტივობის, ადვოკატირების და სხვა მიმართულებებით (არანაკლებ 10 მუნიციპალიტეტში)

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

პარტნიორი ორგანიზაცია: მუნიციპალიტეტები;

გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით გამოცხადდა საგრანტო კონკურსი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის მოქალაქეთა ჩართულობის და სოციალური ანგარიშვალდებულების ინიციატივების მხარდასაჭერად. კონკურსის ფარგლებში დაფინანსდა 8 საგრანტო პროექტი, რომლის განხორციელება დასრულდა 2023 წელს. დაფინანსებული პროექტებიდან სამი უშუალოდ იყო მიმართული ახალგაზრდების შესაძლებლობების გაძლიერებაზე და ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების ჩართულობაზე საქართველოს სამი რეგიონის 11 მუნიციპალიტეტში (ქვემო ქართლი: რუსთავი, მარნეული, გარდაბანი, ბოლნისი, დმანისი, წალკა, თეთრიწყარო; იმერეთი: ხარაგაული; რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი: ცაგერი, ლენტეხი და ონი).

პროექტების განხორციელების შედეგად:

ცაგერის, ლენტეხისა და ონის მუნიციპალიტეტებში 50 ახალგაზრდა ტრენინგებსა და საინფორმაციო სესიებს თემის მობილიზაციის მეთოდებისა და საზოგადოების მონაწილეობის არსებული მექანიზმების თაობაზე. ტრენინგის შემდეგ, UNDP-ის პარტნიორმა არასამთავრობო ორგანიზაცია „ორბელიანმა“ ჩაატარა იდეების კონკურსი ახალგაზრდებისთვის ადგილობრივი თემის პრობლემების გადასაჭრელად. სამიზნე თემების ნებისმიერ ახალგაზრდას შეეძლო წარედგინა ახალი იდეები და კრეატიული გადაწყვეტილებები ადგილობრივი გამოწვევებისთვის.

კონკურსის შედეგად შეირჩა ექვსი გამარჯვებული იდეა. თითოეული ინიციატივა UNDP-ისგან დაფინანსდა 4,000 ლარით, ხოლო დამატებით მუნიციპალიტეტიდან 1,600 ლარით. ამასთან, იდეის ავტორებმა პროექტის განხორციელებისთვის საჭირო თანხის 30% სახალხო დაფინანსების (crowdfunding) მეშვეობით შეაგროვეს. სულ, სახალხო დაფინანსებით ადგილობრივი ახალგაზრდული ინიციატივებისთვის 18,811 ლარი შეგროვდა.

რუსთავის, მარნეულის, გარდაბნის, ბოლნისის, დმანისის, წალკის და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტებში 123 ახალგაზრდა ჩაერთო საგანმანათლებლო ღონისძიებებში, რომელიც

მიზნად ისახავდა ადამიანის უფლებების, აქტიური მოქალაქეობის, გენდერული თანასწორობის, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) შესახებ ცნობიერების ამაღლებას და ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდას. საგანმანათლებლო სესიების შემდეგ, ახალგაზრდების მიერ დაიგეგმა და განხორციელდა მიკრო-პროექტები მუნიციპალიტეტებში. პროექტს ახორციელებდა UNDP-ის პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდული ქსელი - თაობა“.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში IX-XII კლასის 70 მოსწავლე ჩაერთო სამოქალაქო აუდიტის პროექტში, რომლის ფარგლებშიც ახალგაზრდებმა გაიარეს ტრენინგი ადგილობრივი თვითმმართველობის, კარგი მმართველობის, საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის და სამოქალაქო აუდიტის შესახებ. ტრენინგის შემდეგ, მოსწავლეებმა იმუშავეს მათ მიერ შერჩეულ საკითხებზე, გამოითხოვეს ინფორმაცია მუნიციპალიტეტისგან და მოამზადეს ანალიტიკური სტატიები ჩატარებული სამოქალაქო აუდიტის შესახებ. პროექტი განხორციელდა UNDP-ის პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაცია „ევროპულ-ქართული ინსტიტუტის“ მიერ.

მდგომარეობა სამოქმედო გეგმის ინდიკატორებთან მიმართებით

შესრულების ინდიკატორი	სტატუსი
გაძლიერებულია ახალგაზრდობის შესაძლებლობები: სამოქალაქო აქტივობის, ადვოკატირების და სხვა მიმართულებებით (არანაკლებ 10 მუნიციპალიტეტში)	მიღწეულია (100%)

შესაბამისად, 2023 წლის ბოლოსთვის ამ აქტივობის სტატუსია - განხორციელდა.

ამოცანა: 3.4 ადგილობრივი განვითარების დაგეგმვის და კოორდინაციის სისტემის შექმნა

აქტივობა: 3.4.1 განვითარების დაგეგმვის საკანონმდებლო უზრუნველყოფა და სტანდარტების და მეთოდოლოგიური ბაზის შექმნა

შესრულების ინდიკატორი:

1. ეროვნული და საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლისა და მომზადებული რეკომენდაციების შესაბამისად მომზადებული და ინიცირებულია საკანონმდებლო ცვლილებები მუნიციპალიტეტის განვითარების დაგეგმვის უზრუნველსაყოფად
2. მუნიციპალიტეტის თანამშრომლებისთვის ჩატარებულია ტრენინგები მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) დანერგვისა და მონიტორინგის საკითხებზე (არანაკლებ 18 მუნიციპალიტეტში)

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

პარტნიორი ორგანიზაცია: მთავრობის ადმინისტრაცია;

პირველი ინდიკატორის მისაღწევად მომზადებულია პირველადი კანონპროექტი მუნიციპალიტეტის განვითარების დაგეგმვის სისტემის მხარდასაჭერად.

ინდიკატორი რომელიც ეხებოდა მუნიციპალიტეტის თანამშრომლებისთვის ტრენინგების ჩატარებას მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) დანერგვისა და მონიტორინგის საკითხებზე (არანაკლებ 18 მუნიციპალიტეტში) განხორციელდა სრულად 2022 წელს.

მდგომარეობა სამოქმედო გეგმის ინდიკატორებთან მიმართებით

შესრულების ინდიკატორი	სტატუსი
1. ეროვნული და საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლისა და მომზადებული რეკომენდაციების შესაბამისად მომზადებული და ინიცირებულია საკანონმდებლო ცვლილებები მუნიციპალიტეტის განვითარების დაგეგმვის უზრუნველსაყოფად	მეტწილად მიღწეულია (51-99%)
2. მუნიციპალიტეტის თანამშრომლებისთვის ჩატარებულია ტრენინგები მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) დანერგვისა და მონიტორინგის საკითხებზე (არანაკლებ 18 მუნიციპალიტეტში)	მიღწეულია (100%)

შესაბამისად, 2023 წლის ბოლოსთვის ამ აქტივობის სტატუსია - მეტწილად შესრულდა.

აქტივობა: 3.4.2. პოლიტიკის დაგეგმვის შესაძლებლობათა განვითარება

შესრულების ინდიკატორი:

განვითარების დაგეგმვის დოკუმენტები შემუშავებულია ან/და განახლებულია არანაკლებ 25 მუნიციპალიტეტში

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; მთავრობის ადმინისტრაცია

პარტნიორი ორგანიზაცია: მუნიციპალიტეტები;

გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით შერჩეული იქნა 28 მუნიციპალიტეტი, სადაც დაიწყო საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის განვითარების დაგეგმვის სახელმძღვანელოს“ შესაბამისად მუნიციპალიტეტების განვითარების დოკუმენტების მომზადება. დღეისათვის ყველა ამ მუნიციპალიტეტში შემუშავებულია განვითარების დაგეგმვის დოკუმენტის პროექტი, რომლებიც წარდგენილია შესაბამის საკრებულოებში დასამტკიცებლად.
გარდა ამისა, USAID-ის ძლიერი სოფლის პროგრამით, რომლის მიზანია ადმინისტრაციულ გამყოფ ხაზთან მდებარე მუნიციპალიტეტებისა და თემების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა, 2023 წელს გაფორმდა ურთიერთ-თანამშრომლობის მემორანდუმი ხუთ მუნიციპალიტეტთან (კასპი, ხაშური, დუშეთი, ონი და მესტია), რაც ითვალისწინებდა მუნიციპალიტეტის საშუალო-ვადიანი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის შემუშავებაში დახმარებას. მემორანდუმიდან გამომდინარე ამ მუნიციპალიტეტების მერების ინიციატივით შეიქმნა სპეციალური მულტი-სექტორული სამუშაო ჯგუფები, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ როგორც საჯარო ასევე,

სამოქალაქო და კერძო სექტორის წარმომადგენლები. კონსულტაციების შედეგად, 2023 წლის ბოლოსთვის, დოკუმენტის პროექტის გასაჯაროების და საჯარო კონსულტაციების შემდეგ, ხუთივე მუნიციპალიტეტის საკრებულოებმა დაამტკიცეს მათი მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, რომლის განხორციელება მომავალი წლის იანვრიდან დაიწყება.

მდგომარეობა სამოქმედო გეგმის ინდიკატორებთან მიმართებით

შესრულების ინდიკატორი	სტატუსი
განვითარების დაგეგმვის დოკუმენტები შემუშავებულია ან/და განახლებულია არანაკლებ 25 მუნიციპალიტეტში	მიღწეულია (100%)

შესაბამისად, 2023 წლის ბოლოსთვის ამ აქტივობის სტატუსია - განხორციელდა.

6. გამოწვევები და რისკები

დეცენტრალიზაციის სტრატეგიის განხორციელებაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ქვეყანაში მიმდინარე საგარეო და საშინაო გამოწვევებმა, რაც გამოიხატა სათანადო ყურადღებისა და რესურსების ამ მიმართულებით გადატანაში. შესაბამისად, ამ ფონზე, ქვეყანაში დეცენტრალიზაციის პროცესის სათანადო აქტუალობის საკითხი ერთ-ერთ გამოწვევად იქცა.

დეცენტრალიზაციის თანმიმდევრული განხორციელება დიდწილადაა დამოკიდებული ქვეყანაში არსებულ სტაბილურ გარემოსთან. ამასთან, პოლიტიკურად კონსტრუქციული გარემოს არსებობის გარეშე ძალზედ ძნელია გადაიდგას გაბედული ნაბიჯები რეფორმის გასატარებლად. ამიტომ, ცალკეული პოლიტიკური ძალების მუდმივი მცდელობა სიტუაციის გამწვავებისაკენ რჩება დეცენტრალიზაციის რეფორმის ხელისშემშლელ ფაქტორად. ამ ფაქტორზე მიუთითებდა თავად დეცენტრალიზაციის სტრატეგიაც, რომელიც პროცესის შემაფერხებელ ერთ-ერთ გამოწვევად მიიჩნევს „ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილებების მისაღებად მიმდინარე საჯარო განხილვების შეუსაბამო პოლიტიზებას, რამაც შესაძლოა ნეგატიურად იმოქმედოს ადგილობრივი თვითმმართველობისა და სამოქალაქო სექტორის მოტივაციაზე, ჩაერთონ დიალოგში სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან“.

დეცენტრალიზაციის სტრატეგიის შემუშავებაც და მისი განხორციელება მიმდინარეობდა გამჭვირვალე რეჟიმში. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობდა სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტებთან. დეცენტრალიზაციის სტრატეგიის განხორციელების შესახებ პერიოდულად მიეწოდებოდა ანგარიში საერთაშორისო განვითარების პარტნიორებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებით დაკომპლექტებულ სამუშაო ჯგუფებს, ისინი ჩართული იყვნენ სხვადასხვა საკანონმდებლო ინიციატივების განხილვაში. თუმცა ზემოაღნიშნულმა ფაქტორებმა მნიშვნელოვნად შეუშალა ხელი დეცენტრალიზაციის სტრატეგიის მიზნების მიღწევაზე კვალიფიციური დიალოგის წარმართვას ყველა დაინტერესებულ მხარესთან.

ასევე, ერთ-ერთ გამოწვევად აუცილებლად უნდა დასახელდეს კვალიფიციური კადრების ნაკლებობა საჯარო მმართველობის სუბნაციონალურ დონეებზე. დეცენტრალიზაცია თავისთავად გულისხმობს სახელმწიფო ამოცანათა მნიშვნელოვანი ნაწილის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებზე გადაცემას, თუმცა, ასევე აუცილებელია, რომ ადგილებზე არსებობდნენ შესაბამისი კვალიფიკაციის საჯარო მოხელეები, რომლებიც ამ ამოცანებს ხარისხიანად და დროულად შეასრულებენ. შესაბამისად, დეცენტრალიზაციის პროცესის წარმატების ერთ-ერთი წინაპირობა სწორედ ადგილობრივ მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლებაა.

7. მიღებული გამოცდილება

დეცენტრალიზაციის სტრატეგიის განხორციელება მნიშვნელოვანი გამოცდილებაა სახელმწიფო უწყებებისთვის და მათი პარტნიორებისთვის სხვადასხვა აქტივობის განხორციელების დროს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს აქტიური თანამშრომლობა ჰქონდა საერთაშორისო განვითარების პარტნიორებთან, რაც მოიცავდა როგორც ცალკეული აქტივობების მხარდაჭერას, ასევე დეცენტრალიზაციის სფეროში დონორთა საქმიანობის კოორდინაციას. საერთაშორისო პარტნიორების ძალისხმევის კონსოლიდაცია და თანამშრომლობის მაღალი ხარისხის მიღწევა წარმატების უმთავრესი წინაპირობა იყო. დონორებთან თანამშრომლობის 2020-2023 წლების გამოცდილება მნიშვნელოვნად დაეხმარება სამინისტროს დეცენტრალიზაციის სტრატეგიის შემდეგი ეტაპების წარმატებით განხორციელებაში.

დეცენტრალიზაციის სტრატეგიის შემუშავებასა და განხორციელებაში სამოქალაქო საზოგადოების, აკადემიური წრეების და მედიის წარმომადგენლების ჩართვამ მნიშვნელოვნად აამაღლა პროცესის გამჭვირვალეობა. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან აქტიური თანამშრომლობის ეს გამოცდილება მნიშვნელოვანია როგორც დეცენტრალიზაციის სტრატეგიის განხორცილების, ასევე მთლიანად სამინისტროს მუშაობისთვის.

2020-2023 წლების განმავლობაში საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობდა სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებთან მათ შორის საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან, საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან, საჯარო სამსახურის ეროვნულ ბიუროსთან და ა. შ. დეცენტრალიზაციის სტრატეგიით გათვალისწინებული აქტივობათა შესრულებისთვის სახელმწიფო უწყებათა კოორდინირებული მუშაობა იყო ღირებული გამოცდილება ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმისა და დეცენტრალიზაციის სამთავრობო კომისიის წარმატებული საქმიანობისთვის.

დეცენტრალიზაციის სტრატეგიის 2020-2021 და 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ აქტივობათა განხორცილებაში აქტიურად მონაწილეობდნენ მუნიციპალიტეტები, საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია და საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულთა ფინანსისტთა

ასოციაცია. მუნიციპალიტეტებთან და თვითმმართველობათა ასოციაციებთან მიმდინარეობდა აქტიური კონსულტაცია რეფორმის მიმდინარეობის და ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის გადასაცემი უფლებამოსილებების თაობაზე.

დეცენტრალიზაციის სტრატეგიის განხორციელება მუნიციპალიტეტებთან და მათ ასოციაციებთან მჭიდრო თანამშრომლობა არის მნიშვნელოვანი გამოცდილება, რაც ხელს უწყობს როგორც სახელმწიფო უწყებების ეფექტიანობას, ასევე თვითმმართველობათა ასოციაციების როლის გაზრდას და გაძლიერებას.

დეცენტრალიზაციის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის განხორცილებით მიღებული გამოცდილება მნიშვნელოვანი იქნება როგორც შემდგომი წლების აქტივობათა დაგეგმვისათვის, ასევე დეცენტრალიზაციის სტრატეგიის შეფასებისა და შემდგომი განახლებისთვის.

8. დეცენტრალიზაციის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასება

წარმოდგენილი ანგარიში აჩვენებს, რომ დეცენტრალიზაციის სტრატეგიის განხორციელების პროცესი, მიუხედავად არსებული ხელისშემშლელი გარემოებისა წარმატებით მიმდინარეობს და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ აქტივობათა დიდი უმრავლესობა სრულად განხორციელდა ან მეტწილად შესრულებულია. საანგარიშო პერიოდში ჩატარებული საქმიანობა შეფასდა წარმატებულად ვინაიდან სახეზეა მათი:

ა) ***შესაბამისობა*** საქართველოს მთავრობის გაცხადებულ მიზნებთან და ამოცანებთან.

ბ) ***ეფექტიანობა,*** რაც ემყარება საერთაშორისო განვითარების პარტნიორების მონაწილეობას სტრატეგიის ამოცანების შესრულებაში და მულტი-სექტორულ თანამშრომლობას.

გ) ***ეფექტურობა,*** რაც გულისხმობს, რომ დაგეგმილი ამოცანების დიდი ნაწილი განხორციელებული ან მეტწილად შესრულებულია. შედეგები კი პირდაპირ შესაბამისობაშია დეცენტრალიზაციის სტრატეგიის მიზნებთან.

დ) ***გავლენა,*** რაც გამოიხატა მთელი რიგი საკანონმდელო ცვლილებების მიღებაში, რომელთაც გაზარდეს მუნიციპალიტეტების როლი ადგილობრივ განვითარებაში, მომსახურებების გაუმჯობესებასა და კარგი მმართველობის დამკვიდრებაში.

ე) **მდგრადობა**, რომელიც უზრუნველყოფილია სახელმწიფო უწყებებს შორის მაღალი კოორდინაციით, სამოქალაქო საზოგადოების აქტიური მონაწილეობით სტრატეგიის შემუშავების პროცესში და მუნიციპალიტეტების მოტივაციით მეტი სარგებელი შესთავაზონ საკუთარ მოქალაქეებს.

---

9. ინფორმაცია 2024 წელს დაგეგმილ საქმიანობაზე

დღეისათვის მიმდინარეობს მუშაობა დეცენტრალიზაციის სტრატეგიის 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის მომზადებაზე, რომლის შესაბამისად დაგეგმილმა აქტივობებმა უნდა უზრუნველყონ 2020-2025 წლების დეცენტრალიზაციის სტრატეგიის მიზნების მიღწევა.

ამ მიმართულებით 2024 წელს ახალი სამოქმედო გეგმის პროექტით იგეგმება:

სტრატეგიული მიზანი 1 - ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების როლის გაზრდა საჯარო საქმეების მნიშვნელოვანი ნაწილის გადაწყვეტაში.

- ⇒ გაგრძელდება საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება თვითმმართველი ერთეულების საკუთარი უფლებამოსილებათა განხორციელების მხარდაჭერისთვის;
- ⇒ სუბსიდიარობის პრინციპზე დაყრდნობით მომზადებული და ინიცირებული იქნება საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებათა გასაზრდელად;
- ⇒ უფლებამოსილებების განხორციელების მხარდაჭერის მიზნით გაგრძელდება მუნიციპალიტეტებისთვის საჭირო სახელმძღვანელოების, ინსტრუქციებისა და სხვა მეთოდური მასალების მომზადება;
- ⇒ მოხდება დამტკიცებული მუნიციპალიტეტებისთვის დელეგირებული უფლებამოსილებათა განხორციელებისთვის საჭირო ფინანსური და მატერიალური რესურსების გაანგარიშების წესის იმპლემენტაცია და საჭიროების შემთხვევაში მათი კორექტირება.

სტრატეგიული მიზანი 2 - ადგილობრივი თვითმმართველობის უზრუნველყოფა შესაბამისი მატერიალური და ფინანსური რესურსით

- ⇒ გაგრძელდება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისთვის შესაბამისი სახელმწიფო ქონების გადაცემის პროცესი;
- ⇒ ინიცირებული იქნება სამართლებრივი აქტის პროექტები მუნიციპალიტეტის მიერ გრანტის აღების/გაცემის პროცედურების გასამარტივებლად;
- ⇒ გაგრძელდება მუშაობა სახელმწიფო რესურსების განაწილების მექანიზმების გასაუმჯობესებლად.

სტრატეგიული მიზანი 3 - სანდო, ანგარიშვალდებული, გამჭვირვალე და შედეგზე ორიენტირებული ადგილობრივი თვითმმართველობის ჩამოყალიბება

- ⇒ გაგრძელდება მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო ხარჯების და ფინანსური ანგარიშვალდებულების სფეროში დადგენილი ხარვეზების გამოსწორების მექანიზმების დანერგვა;
- ⇒ გაგრძელდება მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების სამუშაოები;
- ⇒ სრულად ამოქმედდება მუნიციპალურ სტატისტიკურ მონაცემთა შეგროვებისა და დამუშავების ეფექტიანი სისტემა;
- ⇒ გაგრძელდება ღია მმართველობის პროგრამის ხელშეწყობა მუნიციპალიტეტებში;
- ⇒ გაიმართება კონფერენცია გენდერული თანასწორობის საკითხებზე;
- ⇒ ინიცირებული იქნება საკანონმდებლო ცვლილებები მუნიციპალიტეტის განვითარების დაგეგმვის უზრუნველსაყოფად;